საქართველოს კანონი

„სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №26, 5.09.2003, მუხ. 195) მე-6 მუხლის:
ა) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საბანკო საქმიანობისა და არასაბანკო სადეპოზიტო საქმიანობის სალიცენზიო მოსაკრებლების განაკვეთები:

ა) საბანკო საქმიანობა – 200 000 ლარი;

ბ) არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების – საკრედიტო კავშირების საქმიანობა – 10 000 ლარი.“;

ბ) მე-3 პუნქტის:

ბ.ა) „ა“–„დ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) საფონდო ბირჟის საქმიანობა – 20 000 ლარი;

ბ) ცენტრალური დეპოზიტარის საქმიანობა – 10 000 ლარი;

გ) ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის საქმიანობა – 5 000 ლარი;

დ) საბროკერო საქმიანობა – 5 000 ლარი;“;

ბ.ბ) „თ“ და „ი“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თ) აქტივების მმართველი კომპანიის საქმიანობა – 3 000 ლარი;

ი) სპეციალიზებული დეპოზიტარის საქმიანობა – 5 000 ლარი.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **გიორგი მარგველაშვილი**

ქუთაისი,

23 დეკემბერი 2017 წ.

N1906-რს